ხელშეკრულება N 8

ქ.ონი 01.05.2013 წელი

ერთის მხრივ შპს ,, ტმტ" (შემდგომში:,,გამყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნესტან ნარტყოშვილის სახით და მეორეს მხრივ ონის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ სამხატვრო სკოლა შემდგომში(,,შემსყიდველი")მისი დირექტორის ელენე მაგრაქველიძის სახით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ,,გამყიდველის"მიერ ,,მყიდველისთვის" საავტომობილო საწვავის (ბენზინის, დიზელის) მიწოდებას

2.ანგარიშსწორების პირობები

2.1 მხარეები წინასწარ ათნხმებენ საწვავის ღირებულებას,რაც აისახება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში ან/და სპეციალურ საგადასახადო ფაქტურაში.

,,მყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საწვავის ღირებულება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ყოველ 15(ხუთმეტ)კალენდარულ დღის განმავლობაში.

2.2 ანგარიშსწორება წარმოებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ნაღდი ან უნარდო ანგარისსწორების წესით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ,,გამყიდველი" უფლებამოსილია დაარიცხოს ,,მყიდველს" პირგასამტეხლო დროულად გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით ,,გამყიდველმა" შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას..

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1240 ლარს.

3.მხარეთა ვალდებულება

3.1 ,,გამყიდველი ვალდებულია"

,,მყიდველის" შკვეთის მიღებიდან ან ,,მყიდველის" მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან სამ დღის განმავლობაში გადასცეს ,,მყიდველს" ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს შესაბამისი საქონელი.ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

3.2 ,,მყიდველი ვალდებულია"

მოახდინოს ანგარიშსწორება ,,გამყიდველთან" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი მისი ხელმოწერის დღიდან და 01.05.2013 წ'ლიდან მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2 თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2(ორი) კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების მოშლის სურვილს წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით და პირობებით.

4.3 მხარეებს შუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშლონ წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ რომელიმე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშკრულების პირობებს.

5.ფორს-მაჟორი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც რომელიმე მხარე ვერ ახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების გამო. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მხარემ მიიღო ყველა ზომა, გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და ალტერნატიული ზომები წინამდებარე ხელშკრულების შესასრულებლად.

5.2 ფორს-მაჟორული გარემოებების ამოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადაზე.

6. სხვა პირობები

6.1 ხელშკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, მათ შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამყიდველის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყონებლივ აღსასრულებლად.

6.3 გამყიდველი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს სწვავის გაცემა ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლის უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.4 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკე პირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულების მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

,,გამყიდველი“	,,მყიდველი’
შპს,,ტმტ“	ა.ი.პ სამხატვრო სკოლა
ონი რ-ნი სოფელი ჭალა	ს/კ 237978444
ტელ: 595 931083	ა/ა GE44LBO120155517799000
საქართველოს ბანკი	
ა/აGE37BG0000000318058100	დირექტორი:
ბ/კოდი BAGAGE22	
ს/კ 437976068	
დირექტორი:	